ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4646544

ნომერი: AR1700752

თარიღი : 14.08.2019

გაცემის თარიღი : 26.08.2019

გაცნობის თარიღი : 27.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ; ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:

- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი ,ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ-ში , თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.14.14.003.149), არსებული შენობის ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის N 882019648509 - 09/08/2019წ/ საკადასტრო კოდი N 01.14.14.003.149, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქალაქი თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ-ში , თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.14.14.003.149), არსებული შენობის ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას

აქვე გაითვალისწინეთ:

–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.